Start Business Solutions

2023

საწარმოთა საქმიანობის შედეგები

საქართველო

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის

INDUSTRY-LED SKILLS DEVELOPMENT PROGRAM

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია „პროფესიული პროგრამები ICT სექტორში“ სტუდენტების მიერ.

პროექტი ხორციელდება კვლევითი და ბიზნესსაკონსულტაციო კომპანიის START - BUSINESS SOLUTION-ის მიერ, USAID-ის მხარდაჭერით, პროგრამის: „დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის“ ფარგლებში.

აპუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს START - BUSINESS SOLUTIONS-ისა და USAID-ის ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი(ები)

ავტორები: ია გოგაძე, ნიკა ნაცვლიშვილი, ნინო დვალიძე

1. შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს შესწავლა, ძირითადი ტენდენციების იდენტიფიცირება და შესწავლა.

ძირითადი საკვლევი საკითხები

- საქართველოში ბოლო 5 წლის განმავლობაში რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა საქმიანობის სფეროების, იურიდიული ფორმის, რეგიონების ჭრილში;
- რეგისტრირებული ბიზნესების ბრუნვის მიმოხილვა;
- ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის იდენტიფიცირება, დინამიკა წლების მიხედვით.
- საშუალო თვიური ანაზღაურების გამოვლენა და შესწავლა წლების მიხედვით.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება, სისტემური ანალიზის მეთოდი. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები. ასევე გამოყენებულია სხვადასხვა უწყებების ოფიციალური ანგარიშები.

2. საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა საქმიანობის შედეგები

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტებით, საწარმო არის ეკონომიკური ერთეული, რომელიც აწარმოებს საქონელს ან ეწევა მომსახურებას, დამოუკიდებლად იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს საკუთარი რესურსების განაწილების შესახებ. საწარმო ახორციელებს ერთ ან რამდენიმე საქმიანობის სახეს, ერთი ან მეტი ადგილმდებარეობის მიხედვით.

გასული 5 წლის მანძილზე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა, ყოველწლიურად იზრდება. 2019 წლის შემდგომ იკლებს ბიზნეს სექტორში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, 2021 წლის პირველი კვარტლიდან კვლავ შეინიშნება დასაქმებულთა რიცხვის ზრდა, თუმცა 2022 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით, ის ჯერ კიდევ ჩამორჩება 2019 წლის მაჩვენებელს. [1]



გრაფიკი 1. რეგისტრირებული ბიზნესების სტატისტიკა

[1] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/326/sacarmota-statistikuri-gamokvleva?fbclid=IwAR3mQeEE_1xq5TyzyYZ_CpisCdUWjmPhH21i3GN4kAuM4x-BNhNW6i7b9xA

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულის სამსახურის მონაცემებით, 2018-2022 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე „დაიბადა“[2] 191 601 საწარმო, მათ შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მიმდინარე წელს. საანგარიშო პერიოდში ყველაზე დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება 2018 და 2020 წლებში.



გრაფიკი 2. ბიზნესის გარდაცვალების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში, საწარმოთა გარდაცვალების მაჩვენებელმა მაქსიმუმს[3] 2019 წელს მიაღწია, ხოლო მაჩვენებელი ყველაზე ნაკლები იყო მიმდინარე წელს.

	2018	*2019*	*2020*	*2021*	*2022 I-III კვრტ.*
ინდივიდუალური მეწარმე	15097	25209	17670	23746	40813
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	3	1	4	4	0
კომანდიტური საზოგადოება	0	1	1	1	0
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	14289	13381	11641	13835	15139
სააქციო საზოგადოება	72	73	70	72	25
კოოპერატივი	43	43	36	46	35
უცხოური საწარმოს ფილიალი	68	61	41	40	41

ცხრილი 1. საწარმოთა დაბადება სექციებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით

[2]საწარმოს დაბადება ეწოდება ისეთ ბიზნესდემოგრაფიულ მოვლენას, რომლის დროსაც ადგილი აქვს სრულიად ახალი საწარმოო ფაქტორების თავმოყრას ან საწარმოს გააქტიურებას მას შემდეგ, რაც შეჩერებული ჰქონდა ეკონომიკური საქმიანობა 2 წელზე მეტი ხნით.

[3] საწარმოს **გარდაცვალება** ეწოდება ისეთ ბიზნეს დემოგრაფიულ მოვლენას, რომლის დროსაც ადგილი აქვს წარმოების ფაქტორების არსებული კომბინაციის დაშლას.

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2021 წელს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 31.5 პროცენტით გაიზარდა და 150.4 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2021



გრაფიკი 3. ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა

წელს მისი მოცულობა 57.6 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 24.6 პროცენტით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

2022 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 17.4 პროცენტით გაიზარდა და 47.5 მილიარდი ლარი შეადგინა. ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც.

2022 წლის III კვარტალში მისი მოცულობა 18.9 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 25.8 პროცენტით მეტია.

2021 წელს დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 744.3 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის მაჩვენებელს 5.7 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.0 პროცენტი ქალია, ხოლო 58.0 პროცენტი - კაცი.



გრაფიკი 4. დაქირავებულთა რაოდენობა და მათი საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება საქართველოს მასშტაბით

2022 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 723.3 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 6.7 პროცენტით მეტია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 42.5 პროცენტი ქალია, ხოლო 57.5 პროცენტი - კაცი.



გრაფიკი 5. დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება

2022 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 38.5 პროცენტი მოდის ვაჭრობის (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით) დარგზე.



გრაფიკი 6. საცალო-საბითუმო ვაჭრობა, სექტორის ბრუნვის მოცულობა

მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 28.6 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.5 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 6.3 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.2 პროცენტიანი წილით.



გრაფიკი 7. დამამუშავებელი მრეწველობა, სექტორის ბრუნვის მოცულობა

ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 2.5 პროცენტიანი წილით, ხოლო 9.5 პროცენტი დანარჩენ დარგებზე ნაწილდება. 2018 – 2021 წლებში ლიდერი ინდუსტრიების ჩამონათვალი არ შეცვლილა. [4]



გრაფიკი 8. განთავსების საშუალებები, სექტორის ბრუნვის მოცულობა

2018-2021 წლებში დარეგისტრირებულ ბიზნესთა უმეტესობა დარეგისტრირებულია თბილისში, იმერეთსა და აჭარაში.

[4]წყარო - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


2019 - წელი
35%
41%
13%
11%
ქ. თბილისი
იმერეთი
აჭარის რეგიონი
სხვა რეგიონები


2021 - წელი
33%
43%
11%
13%
ქ. თბილისი
იმერეთი
აჭარის რეგიონი
სხვა რეგიონები


2020 - წელი
35%
42%
10%
13%
ქ. თბილისი
იმერეთი
აჭარის ა.რ.
სხვა რეგიონები


2022 წლის I-III კვარტალი
35%
43%
14%
8%
თბილისი
აჭარის რეგიონი
იმერეთი
სხვა რეგიონები